ექსპერტიზის

ანგარიში

ქ. თბილისში, ნაქალაქევის ქ. #3 (ს/კ 01.12.14.081.013) ტერიტორიაზე არსებული პოლიკლინიკის რეკონსტრუქციის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

1. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის, შპს „Krol Medical Corporation“-ის (ს/კ 404941532) მიერ, პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. თბილისში, წინანდლის ქ. ნაკვეთი 01/301, ს/კ 01.17.13.001.392, რეაბილიტაციის ცენტრის რეკონსტრუქციის და გადასასვლელი ხიდის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:
საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

2. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ქუჩა ნაქალაქევის, N3 (ს/კ 01.12.14.081.013), ფართობით 2963 მ², საპროექტო ტერიტორიის გაბარიტული ზომები შეადგენს 69 მეტრი 45 მეტრზე. ტერიტორია ხასიათდება დამრეცი რელიეფით, უკიდურეს წერტილებს შორის ქანობი შეადგენს დაახლოებით 2,0 მეტრს, ტერიტორიას ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრება საავტომობილო გზები, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სამეზობლო მიწის ნაკვეთები. ტერიტორიას მთავარი მისასვლელი აქვს ჩრდილოეთის მხრიდან, სადაც ესაზღვრება ნაქალაქევის ქუჩა.

ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია მოქმედი პოლიკლინიკა, რომელის მშენებლობა თარიღდება 1964 წლით, 3 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართულით, სადაც არ არის გათვალისწინებული როგორც ქვეითთა, ისე საავტომობილო მისასვლელი გზები შენობამდე, მისასვლელი გზის ნიშნული ნაქალაქევის ქუჩის მხრიდან არის 571.30, ხოლო კლინიკის შიდა წინა ეზოს ნიშნული არის 570.60, შესაბამისად კლინიკაში შესვლა ხდება კიბეების გამოყენებით პანდუსების გარეშე.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო გახდა კლინიკა მორგებულიყო დღევანდელ სტანდარტებს და მისაწვდომობის ნორმებს, რაც ითვალისწინებს ტერიტორიაზე შშმ პირთა შეუფერხებლად გადაადგილებას.

არსებულ შენობას ესაჭიროება 3 დამოუკიდებელი შესავლელი, რომლებიც ერთმანეთისგან იქნება გამიჯნული. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით მოხდება მსუბუქი კონსტრუქციით გადახურული ერთიანი პანდუსის მოწყობა სამივე შესასვლელისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს შენობის ±0.00 ნიშნულისა და გზის ნიშნულის გათანაბრებას. და აღნიშნული ქმედებით შშმ პირებს საშუალება ექნებათ შენობაში მოხვედრას საფეხურების დონეეთა სხვაობების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დღევანდელ მოცემულობას.

ექსპერტიზაზე წარდგენილია ასევე ±0.00 ნიშნულზე მიშენებული ფოიეს პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ვერტიკალურად გადაადგილების საშუალებად ლიფტი, რომელიც აუცილებელია კლინიკის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის, საპროექტო ლიფტით მოხდება 1 მიწისქვეშა და 3 მიწისზედა სართულების ერთმანეთთან დაკავშირება, ლიფტის ზომა გათვლილია საკაცის შეუფერხებლად გადაადგილებითვის.

ნაქალაქევის ქუჩის მხრიდან მოეწყო მსუბუქი კონსტრუქციით გადახურული სამანქანო პანდუსი, სასწრაფო დახმარების მანქანის მისაღებად.

საპროექტო პანდუსით სასწრაფო დახმარების მანქანა ტერიტორიაზე მოხვდება ნაქალაქევის ქუჩიდან 571.30 ნიშნულზე და გავა ორბეთის ქუჩიდან 568.00 ნიშნულზე.

ტერიტორიაზე ფიქსირდება მრავალწლოვანი ხე-ნარგავები, კონკრეტულად საპროექტო არეალში ხვდება 2 კედარი, წარმოდგენილი არქიტექტურული გადაწყვეტით ხდება გადახურული პანდუსის საძირკვლის კონსტრუქციის მინიმალური დაშორება ხე-ნარგავებთან არის 3 მეტრი.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;

2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;

3. შენობა აღიჭურვება ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემით;

4. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;

5. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;

6. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით;

7. დერეფანი და კიბე განიავდება მექანიკური და ბუნებრივი განიავების სისტემებით, ეს სისტემები იქნება ურთიერთ და სხვა სისტემებისგან დამოუკიდებელი.

3. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

6. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირე ბული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**
პროექტში გამოყენებულია დაწესებულებითი ჯგუფი **(დწ-2),** საქმიანი ჯგუფი **(სქ**) და დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფის **(დს)** დაკავებულობები, კერძოდ:

1. **დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2** (**არსებული მომიჯნავე პალატა** ±0.00 მ ნიშნულზე) შეესაბამება **308.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს
   - დეტოქსიკაციის დაწესებულებებს;
   - მოხუცებულთა თავშესაფრებს;
   - საავადმყოფოებს.

   არსებული მომიჯნავე დწ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9.3, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. არსებული დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1-ს.

2. **საქმიანი ჯგუფი სქ** - (**ფოიე საპროექტო** ±0.00 მ ნიშნულზე; **არსებული სქ** დაკავებულობები +3,40 და +7,06 მ ნიშნულებზე) წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს
   - ამბულატორიულ კლინიკებს;
   - ბანკებს;
   - საფოსტო განყოფილებებს.

   სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9.3, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. საპროექტო დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 22-ს.

3. **დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს** დაკავებულობა (**არსებული მომიჯნავე დამხმარე სივრცეები** ±0,00 მ ნიშნულზე), რაც შეესაბამება **წესების 312.1 ქვეთავს.**
დს ჯგუფისთვის არსებული დაკავებულობის დატვირთვა გაანგარიშებულია **1004 ქვეთავის ცხრილი 1004.1.2** მიხედვით და გამოყენებულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **27,9** მთლიანი და საპროექტო სართულზე დაკავებულობის დატვირთვა უდრის 3-ს.

7. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობისთვის (შეფასებულია როგორც არსებული, ასევე საპროექტო ნაწილები) გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.
პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს და 601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.
გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

8. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული **I-B** ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის საპროექტო და მისი მომიჯნავე არსებული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. საპროექტო და თითოეულ არსებულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არსებულია და არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
არსებული შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 13,25 მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 9,12 მ-ზე, ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, *„წესების“* განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.
არსებული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს ***„წესების“*** **503 ცხრილის** მოთხოვნებს.

9. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

განსახილველი საპროექტო ფოიეს გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის პირველი სართულის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
პირველ სართულზე, ±0.00 ნიშნულზე საქმიანი **სქ**, მომიჯნავე დაწესებულებითი **დწ-2** და მომიჯნაქვე დამხმარე **დს** ჯგუფის დაკავებულობების დატვირთვიდან (26) და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე მოთხოვნილი სამის ნაცვლად, სართულს ემსახურება ექვსი გზა-კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს და წესების შესაბამისი საფეხმავლო ბილიკის გავლით უკავშირდება საზოგადოებრივ ზონას - ქუჩას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 34.50 მ-ს.

პროექტის მიხედვით ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, **წესების 1016 ქვეთავისა და 1016** ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი დაშვებულია: **დწ-2**-თვის 60 მეტრი, **სქ**-თვის 90 მეტრი, ხოლო **დს** -თვის - 120 მეტრი, რაც პროექტში დაცულია.

10. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი არსებული დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და მეტობით აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 3,23 მ, 3,40 მ, და 5,70 მ მოთხოვნილი 1.80 მ და 2.40 მ სიგანის ნაცვლად, რაც აკმაყოფილებს **1018.2 ცხრილის** მოთხოვნებს. ავტოსაშხეფი სისტემის გათვალისწინების გამო დერეფნებს და მათში მოწყობილ კარებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა.

საპროექტო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს მოთხოვნილ 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.

11. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (**1104 ქვეთავი**), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიციც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას ±0,00 მ ნიშნულზე.
არსებული შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, მათზე მოხვედრა შესაძლებელია საპროექტო ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7 ქვეთავის** მოთხოვნებს;
შშმ პირები ±0.00 ნიშნულზე ხვდებიან **1010 და 1026 ქვეთავების** პირდაპირ ეზოს დონიდან.
სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;
ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.
შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

12. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო ფოიეს კედლის ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8** ცხრილს. მოცემულ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **602 ცხრილის** მიხედვით, "გ-ზ" ღერძებში მდებარე გარე კედელი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან (10,12 მეტრი) გამომდინარე არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხის კონსტრუქცია.
პროექტით ასევე გათვალისწინებულია გარე ფასადის „1-4"ღერძებში კედლის რეკონსტრუქცია, შეიცვლება ღიობების ზომები. კედელი საკადასტრო საზღვართან 14,84 მ-ში მდებარეობს, შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის შემთხვევაში და მანძილიდან გამომდინარე **705.8** ცხრილის შესაბამისად კედლის ღიობების ფართობები არ იზღუდება.

13. სახურავის ანაწყობების შეფასება

მისაშენებელი საპროექტო ფოიეს სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. გადახურვის ტიპი არის მცირექანობიანი, შედგება მსუბუქ კონსტრუქციებზე დაწყობილი გადახურვის სენდვიჩპანელებისგან. თუმცა, არსებული შენობის სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაციიდან (ცხრილი **1505.1ა**) გამომდინარე, არსებული შენობის კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს:

„**1505.3 B კლასის სახურავის ანაწყობები. B** კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.“

IA	IB	IIA	IIB	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	C ბ	B	C ბ	B	B	C ბ

საპროექტო მიშენების გადახურვას საკადასტრო საზღვრამდე მანძილიდან (10,12 მ) გამომდინარე არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

14. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში საპროექტო **სქ** დაკავებულობასთან ერთად წარმოდგენილია არსებული მომიჯნავე შერეული დაკავებულობები **დს** და **დწ-2** ჯგუფებების სახით. სქ და მომიჯნავე სწ-2 დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია 2 სთ ცეცხლმედეგობის კედელი, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს. დს და სქ დაკავებულობებს ავტოსაშხეფი სისტემის პირობებში აკმაყოფილებს 1 სთ ცეცხლმედეგობის მქონე გამმიჯნავი კედელი. იმავე მიზეზის გამო დერეფნებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგიანი გამიჯვნა.
საპროექტო ლიფტის შახტის კედლები შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

15. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით **903.3.1.1, 903.3.2 ქვეთვების** მიხედვით.
  - შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:
  1) **907.2.6 ქვეთავის** მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფი **907.4.2.1 ქვეთავის** თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება;
  2) **907.2.11.1 ქვეთავის** მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
  3) **907.2.6.2 ქვეთავების** მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები.
  5) **907.2.13.2 ქვეთავის** მიხედვით სახანძრო განყოფილებასთან კავშირის სისტემა - სახანძრო განყოფილების სადენიანი კავშირის სისტემა NFPA 72-ის შესაბამისად.
  7) შენობის ყველა დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება **906 ქვეთავის** შესაბამისად.
  8) **1006.1 ქვეთავის** გათვალისწინებით შენობის საევაკუაციო გზებზე, დერეფნებში, ძირითად გასასვლელებში, უსაფთხო ზონებში და სხვა აუცილებელ ადგილებში მოეწყობა საევაკუაციო განათება.
  9) სათადარიგო ელმომარაგების დანადგარი (**გენერატორი**) განთავსებული იქნება არსებული შენობის ტერიტორიაზე.

16. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

არსებული წყალსადენის სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები არსებულ შენობაში არის განთავსებული და მოცემულ ანალიზს არ ექვემდებარება.

17. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - არქიტექტორი იოსებ არჩვაძე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის, შპს „Krol Medical Corporation“-ის (ს/კ 404941532) მიერ, წარმოდგენილ ქ. თბილისში, ნაქალაქევის ქ. #3 (ს/კ 01.12.14.081.013) ტერიტორიაზე არსებული პოლიკლინიკის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და **საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

თბილისი

29.07.2022

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	**ნატალია ვასილიევა**
დაბადების ადგილი:	**საქართველო, თბილისი**
ოჯახური მდგომარეობა:	**დაოჯახებული**
მისამართი:	**თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41**
ტელეფონი:	**(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479**
ენები:	**ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად**

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1979 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).**

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). **წარჩინების დიპლომი.**

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. **ასპირანტურა, მოწმობა.**

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. **სერტიფიკატები.**

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტერნინგები.

<u>ს ა მ უ შ ა ო გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა :</u>

2017.11- შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტექნიკური მენეჯერი.**

2017.05-2017.10შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **არქიტექტორი-ექსპერტი.**

2017.05- შპს „არქტრენინგ ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტრენერი.**

2014-2017 შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია),

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2011-2012 შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება)

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2008-2011 შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა),

თანანმდებობა: **მთავარი არქიტექტორი.**

1998–1999 მუნიციპალური განვითარების ფონდი (**MDF** – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: **კონსულტანტ–არქიტექტორი.**

1987–1996 ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: **უფროსი არქიტექტორი.**

1979–1981 „თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

1973-1974 საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: **ლაბორანტი.**

1972-1973 კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: **ტექნიკოს-არქიტექტორი.**

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, წყნეთი გაზ- და ბენზინგასამართი სადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი, შეშელიძიოს ქ.
საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ.,
61 ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი ბაზრის შენობა, რუსთავი
სასაწყობო შენობა და სხვ.

უნარჩვევები:

საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;

ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: **ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;**

ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

პუნქტუალობა
ორგანიზებულობა
ანალიტიკური აზროვნება
მაღალი პასუხისმგებლობა
ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი კარგი კომუნიკაციის უნარი

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები – **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

რეაბილიტაციის ცენტრი

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება	
1.	საქმიანი ჯგუფი **სქ** - ფოიე ±0,00 მ ნიშნულზე (საპროექტო),+3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)
2.	დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** - პალატები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)
3.	დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** - დამხმარე სივრცეები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	**I-B**
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
1. საქმიანი ჯგუფი **სქ** - ფოიე ±0,00 მ ნიშნულზე (საპროექტო),+3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**11**	1 (საპრ.)+2(არსებ.)
2. დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** - პალატები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**4**	**3 (არსებ.)**
3. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** - დამხმარე სივრცეები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**5**	**3 (არსებ.)**
	დასაშვები სიმაღლე	**შემოთავაზებული სიმაღლე**
შენობის სიმაღლე =	**48,8 მ**	**13,25 მ (არსებული)**
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =		**3 (არსებული)**

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი (სართულზე)**	**შემოთავაზებული ფართობი (სართულზე)**
საქმიანი ჯგუფი **სქ** - ფოიე ±0,00 მ ნიშნულზე (საპროექტო),+3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**შეუზღუდავი**	**201,5 მ² (საპროექტო)**
დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** - პალატები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**შეუზღუდავი**	**არსებული**
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** - დამხმარე სივრცეები ±0,00 მ, +3,40 მ, +7,06 მ ნიშნულებზე (არსებული)	**3300**	**არსებული**
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	**201,5 მ² (საპროექტო)**	
სართულების რაოდენობა =	**1 მიწისქვედა + 3 მიწისზედა - არსებული**	
შენობის საერთო ფართობი =	**211,15 მ² (საპროექტო)**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
ფასადი „1-4“ღერძებში (საპროექტო ღიობები ±0,00 მ ნიშნულზე)	14,84	0	0		შეუზღუდავი				არ იზღუდება
ფასადი „გ-ზ“ღერძებში (საპროექტო ±0,00 მ ნიშნულზე)	10,12	0	0		შეუზღუდავი				არ იზღუდება

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშველეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმოჩენი და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
საქმიანი ჯგუფი სქ	კი		კი			კი	
დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	კი		კი			კი	
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს	კი		კი				
კიბის უჯრედი			კი				
ლიფტი							
დერეფანი	კი		კი			კი	
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი			
სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი (არსებულ შენობაში)				კი			

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	კი
დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	კი	კი
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს	კი	კი
კიბის უჯრედი	კი	კი
ლიფტი		კი
დერეფანი	კი	კი

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება										
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)						
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი		
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	
სართული ±0,00 მ ნიშნულზე	სქ (საპროექტო) დწ-2, დს (არსებული) ს.დ.დ. 26	3	6 გზა-კარი			1,80; 2,40	3,23; 3,40; 5,70	4,92	9,10	

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
სართული ±0,00 მ ნიშნულზე	სქ (საპროექტო) დწ-2, დს (არსებული) ს.დ.დ. 26	არსებული						2	2	არსებული		-	-







დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ნატალია ალბერტის ასულ ვასილიევას მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა საქართველოს ა.ა. ვოლკონსკის სახელობის მოლაქობრივ ინსტიტუტში და 1980 წელს დაამთავრა ალბერტ ალბერტის ძის სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ. „10" 07 გადწყვეტილებით არქიტექტურა კვალიფიკაცია.

რექტორი

ქალაქი თბილისი 1980 წ. 30 • 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой Наталье Азаревне

в том, что он а в 1974 году поступил а в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончил а полный курс названного института

по специальности архитектуры

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 07 1980 г. Васильевой Н.А.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

м. п. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.

არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ს/ნ 402050052 მის: ქ. თბილისი, მ. გელოვანის ქ. N24 ტელ: 599 400 208

ქ. თბილისი 15/06/2022 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნატალია ვასილიევას (პ/ნ 01019013928, ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, შალვა ცინცაძის ქ. 41) მასზედ, რომ ის ნამდვილად მუშაობს შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრში“ არქიტექტორ-ექსპერტისა და ტექნიკური მენეჯერის თანამდებობაზე 2017 წლის 3 მაისიდან დღემდე.

ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

დირექტორი: /ჯ. ჯოხაძე/

შპს პროგრესი
პ.ქავთარაძის 14ა, 22-ე სართული, თბილისი
www.progresi.com.ge

ცნობა

ეძლევა მოქალაქე **ნატალია ვასილიევას** (პირადი ნომერი 01019013928) მასზედ, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის აპრილამდე ის მუშაობდა შპს 'პროგრესი'-ში (საინდეტიფიკაციო ნომერი: 204970380) არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

შპს „პროგრესი"-ს
დირექტორი

ჯონი გიგინეიშვილი
აკადემიური დოქტორი მშენებლობაში

